

სხვადასხვა სახის სირთულეების მქონე მოსწავლეებში ბაზისური უნარების განვითარების თავისებურებები და ინტელექტთან მიმართება

ირმა ქურდაძე

პედაგოგიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ანოტაცია

იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც სხვადასხვა სახის სირთულეები ექმნებათ წერა-კითხვისა და ანგარიშის ათვისების დროს, საკმაოდ დიდია. ეს სირთულეები, თავის მხრივ, აისახება მათ მთლიან პიროვნულ განვითარებაზე, უკავშირდება სხვადასხვა პრობლემას ემოციური თუ სოციალური ურთიერთობის სფეროებში და, შესაბამისად, გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება საზოგადოებაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამგვარი პრობლემების მქონე ბავშვების დროული აღმოჩენა, მათი ფსიქოლოგიური შეფასება და ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტის მოძებნა.

მეტად პროდუქტიულია სწავლებისა და განვითარების ურთიერთდამოკიდებულების გააზრება, მათ შორის - ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან დამოკიდებულება-ლ.ვიგოტსკის მიხედვით, რომელიც აღნიშნავს, რომ ყველა ბავშვს აქვს პოტენციური შესაძლებლობები და, შესაბამისად, უნარი, სრულად გამოამჟღავნოს ისინი, თუმცა ეს შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია. ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი ფეხდაფეხ მიჰყვება ტიპური ბავშვისას. აქედან - დასკვნა: მათ საერთო მეტი აქვთ, ვიდრე განსხვავებული.

საკვანძო სიტყვები: პიროვნული განვითარება, ემოციური ურთიერთობები, სოციალური ურთიერთობები, სწავლაში სირთულეების მქონე ბავშვები, ადრეული დიაგნოსტიკა.

იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც სხვადასხვა სახის სირთულეები ექმნებათ წერა-კითხვისა და ანგარიშის ათვისების დროს, საკმაოდ დიდია. (ზაქაშვილი, თ., 2011)

ეს სირთულეები, თავის მხრივ, აისახება მათ მთლიან პიროვნულ განვითარებაზე, უკავშირდება სხვადასხვა პრობლემას ემოციური თუ სოციალური ურთიერთობის სფეროებში და, შესაბამისად, გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება საზოგადოებაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. (ASPIRE, 2014)

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამგვარი პრობლემების მქონე ბავშვების დროული აღმოჩენა, მათი ფსიქოლოგიური შეფასება და ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტის მოძებნა.

ვფიქრობთ, სპეციალისტებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რა ბაზისური უნარები უდევს საფუძვლად წერა-კითხვის, ანგარიშის ათვისებას, როგორია ამ უნარების განვითარების თავისებურებები და კავშირი სხვადასხვა შემეცნებით თუ სოციალურ უნართან. ამ ცოდნის გარეშე ნაკლებად ეფექტიანია როგორც ადეკვატური სწავლების მეთოდების შერჩევა, ასევე განმავითარებელი პროგრამის შექმნა, დახმარების სტრატეგიების განსაზღვრა.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი ინსტრუმენტის არსებობა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედი კანონმდებლობით, 5 წლის ასაკში შეუძლია ბავშვს სკოლაში შესვლა, ანუ საკმაოდ ადრეულ ასაკში უწყვეტ მოსწავლეებს სავსებით ახალ ფორმალურ გარემოში შესვლა, ხშირად კი, მათთვის ზედმეტად რთული მოთხოვნების შესრულებაც.

მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტი ფსიქოლოგიაში ყველაზე მეტად შესწავლილ კონსტრუქტს შეესაბამება, დღემდე არ არსებობს ერთიანი შეთანხმებული პოზიცია ინტელექტის დეფინიციის შესახებ. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ფსიქოლოგიაში ინტელექტის მრავალ სხვადასხვა განმარტებას შევხვდებით. ინტელექტის პირველი ტესტის ავტორების ბინეს და სიმონის მიხედვით, ეს არის ადამიანის უნარი ადეკვატურად შეაფასოს და მოერგოს გარემოს მოთხოვნებს, ასევე თვითკრიტიკის უნარი.

გერმანელი ფსიქოლოგის დიფერენციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, უილიამ შტერნის მიხედვით, ინტელექტი ეს არის პიროვნების უნარი, ცნობიერად მიმართოს საკუთარი აზროვნება ახალი სიტუაციებისკენ და წარმატებით გაართვას თავი მის მოთხოვნებს ((**Sternberg, press 2000**)).

თუ შევაჯამებთ არსებულ დეფინიციებს, ინტელექტი ეს არის ადამიანის გონებრივი უნარი, რომელიც მოიცავს ლოგიკური მსჯელობის და დასკვნების გამოტანის, დაგეგმვის, პრობლემის გადაჭრის, აბსტრაქტული აზროვნების, კომპლექსური იდეების გაგების, სწრაფად დასწავლისა და გამოცდილებით სწავლის უნარებს.

არსებობს კვლევები, რომლებიც შეგვიძლია მოვიყვანოთ იმის საბუთად, რომ სწავლაში სირთულეების მქონე ბავშვების 75 პროცენტს აღენიშნება სირთულეები სოციალური სტიმულების გადამუშავების დროს (**Kravetz, Sh.; Faust, M., Lipshitz, Shalhav, Sh.1999**)

სოციალური ინტერაქციის პრობლემების იდენტიფიკაცია საბავშვო ბაღშიც არის შესაძლებელი და, ცხადია, სკოლაში სწავლისას კიდევ უფრო მწვავედება. კვლევები ადასტურებს სწავლაში სირთულეებსა და სოციალური ინტელექტის დაბალ დონეს შორის კავშირს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დროული დიაგნოსტიკა და ადეკვატური მოქმედებები.

საყურადღებოა ვიგოტსკის ხედვაც, დღეს მისი შეხედულებები ძალზე პოპულარულია და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სწავლებაში ფუნდამენტურ როლს თამაშობს.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

განვითარებაში უკვე მიღწეული დონის (განვითარების აქტუალური დონე) და ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების (განვითარების უახლოესი ზონა) დიფერენცირება, ასევე სენზიტიურ (რამის სწავლისთვის ოპტიმალურ) პერიოდზე აქცენტირება.
მეტად პროდუქტიული აღმოჩნდა სწავლებისა და განვითარების უთიერთდამოკიდებულების გააზრება, მათ შორის - ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან დამოკიდებულება-ლ.ვიგოტსკის მიხედვით, (ვიგოტსკი.2013)

1. ყველა ბავშვს აქვს პოტენციური შესაძლებლობები და, შესაბამისად, უნარი, სრულად გამოამჟღავნოს ისინი, თუმცა ეს შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია.
2. ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი ფეხდაფეხ მიჰყვება ტიპური ბავშვისას. აქედან დასკვნა: მათ საერთო მეტი აქვთ, ვიდრე განსხვავებული.
3. ვინაიდან პიროვნების ფსიქიკის ადამიანური თავისებურებები განპირობებულია სოციალური გარემოთი, სოციალური ზემოქმედებით, სწავლა/სწავლების როლი განუზომელია. რთული უმაღლესი (კულტურული) ფსიქიკური პროცესების (მაგ., ნებისმიერი მეხსიერების, ნებისმიერი ყურადღების და ა. შ.) ჩამოყალიბებაში გარემოს როლი უმნიშვნელოვანესია, განხვავებით ნატურალური, უნებლიე ფორმებისაგან.
4. ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთან მიმართებით მთავარია პოზიტიური ხედვა (არა რა აკლია მას, არამედ რა ახასიათებს). ოპტიმისტური განწყობა, აქცენტი შესაძლებლობებზე.
5. არსებობს პირველადი დეფექტი, გამოწვეული, მაგალითად, რომელიმე ორგანოს დაავადებით და მეორეული დეფექტი - ჩამოყალიბებული არასწორი და არადროული პედაგოგიური ჩარევის შედეგად.
6. ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვი განუვითარებელი კი არა, სხვაგვარად განვითარებულია.
7. მართალია, გონებრივი ჩამორჩენილობა ინტელექტის უკმარისობაა, მაგრამ არამხოლოდ ეს! ბავშვმა არ იცის, არც შეუძლია და არც უნდა - აი, ეს ქმნის დაბრკოლებას.
8. ძნელი გასარკვევია, ინტელექტუალური შეფერხება იწვევს ნებისყოფის, მოთხოვნილებების (აფექტური სფეროს) ჩამორჩენას თუ პირიქით.

ვიგოტსკის მიაჩნია, რომ ჯერ აფექტური სფერო აფერხებს ინტელექტუალურ განვითარებას და შემდეგ უკვე პირიქით, ინტელექტი - აფექტური სფეროს განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტემპუსის საგრანტო პროექტი: „Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)”, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია, 2014
2. ზაქაშვილი, თ. სოციალური კომპეტენციის განვითარების თავისებურებანი და მისი მიმართება ინტელექტისა და საბაზისო უნარების დონესთან უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებთან. სამაგისტრო ნაშრომი. 2011
3. ჟურნალი მასწავლებელი #3, ვიგოტსკი და ინკლუზიური განათლების პრინციპები, თბილისი, 2013
4. Sternberg, R. *JHandbook of Intelligence*. By Cambridge university press, 2000
5. Kravetz, Sh.; Faust, M., Lipshitz, Shalhav, Sh.(1999): LD, Interpersonal Understanding and Social Behavior in the Classroom. *Journal of Learning Disabilities* 32(3): 249